N 247 23/09/2016

ოქმი N16
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
რიგგარეშე სხდომის

2016 წელი, 23 სექტემბერი
17.00-18.00 საათი
ქ. ოზურგეთი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე

ესწრებოდნენ:დ. კვერღელიძე-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე,საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: დ. ჭაკნელიძე, ტ. არუშიძე, გ. ჩავლეშვილი, ლ.საჯაია, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ვლ. ვადაჭკორია, გ. კილაძე, ბ. ღლონტი, ა.გოგოძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ. ჩხაიძე, ნ. ურუშაძე, დ. თენიეშვილი, გ. კოჩალიძე, რ. სკამკოჩაიშვილი, ვ. ნიჟარაძე, ნ. კალანდარიშვილი, ლ. კილაძე, გ. მესხიძე, ბ. ლომჯარია, მ. ბერიძე, რ.გაბაიძე, ბ.ქათამაძე, ი.მამალაძე, შ.დოლიძე, ლ.ნაცვალაძე, ვლ. ჩავლეშვილი,ბ. იმნაიშვილი, ბ.გობრონიძე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატისა და გამგეობის პასუხისმგებელი მუშაკები; მასმედიის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საზოგადოების წარმომადგენლები, საზოგადოებრივი დარბაზის წევრები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებსა და დამსწრეთ, განაცხადა, რომ საკრებულოს რიგგარეშე სხდომის მოწვევა განაპირობა მომხდარმა სტიქიამ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია (43 დეპუტატიდან რეგისტრაცია გაიარა 29-ამ, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას), შემდეგ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 29-ხმით.

დღის წესრიგი

20. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 25 დეკემბრის №43 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხს: დ.დარჩია

თანამომ: გ. მამაკაიშვილი

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 29- ხმით

სხდომის თავმჯდომარემ დ. დარჩიამ აღნიშნა, საამაყოა როცა მუნიციპალიტეტს შეუძლია საკუთარი შემოსავლებით დაეხმაროს სტიქიის შედეგად დაზიანებულ ოჯახებს.

საკრებულოს წევრმა ვლ. ვადაჭკორიამ განაცხადა, რომ სტიქიის შედეგების აღმოსაფხვრელი სამუშაოები უმჯობესი იქნებოდა დაფინანსებულიყო სარეზერვო ფონდიდან, სტიქია კი ქარსაფარი ზოლებისა და ტყის მასობრივმა ჭრამც განაპირობა.

სტიქიის სამუშაობის დაფინანსებაზე შეკითხვა დასვა საკრებულოს წევრმა ბ. ქათამაძემც.

სხდომა დახურულად გამოცხადდა.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო